

42 (044)

8 - 748

თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის
სახელმწიფო კვლავობიური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

რუსუდან გოცირიკე

სპეციალური ტექსტების დამოუკიდებელი კითხვის
უნარ-ჩვევათა სრულყოფა კომპიუტერის
საშუალებით ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებელში
(ინგლისური ენის მასალაზე)

13.00.02 - სწავლების მეთოდოლოგია

კვლავობიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
სარისხის მოსაკრებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეზერატი

თბილისი- 2003

ნაშრომი შესრულებულია ი.გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა
ეროვნულ ინსტიტუტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათელა დოლონაძე, პედაგოგიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი.

ოფიციალური ოპონენტები: მადონა მეგრელიშვილი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი;
ელენე აბაშიძე, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი.

დისერტაციის დაცვა შედგება 2003 წლის 19 ივნისს 14 საათზე
თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიკურ
უნივერსიტეტთან არსებულ პედაგოგიკის სპეციალიზებული სადისერტაციო საბჭოს
(PD 13.00 CN 1) სხდომაზე (380079, თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 32)

დისერტაციის ვაცნობა შესაძლებელია თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის
სახელმწიფო პედაგოგიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში

ავტორეფერატი დაიგზავნა 19 მაისი 2003წ.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

ც.ლოლაძე

სადისერტაციო კვლევის პრობლემის აქტუალობა და მნიშვნელობა

ჩვენი საზოგადოების ყოველი წევრი უშუალო მოწმეა იმისა, თუ როგორი სწრაფი
ტემპით მიმდინარეობს ტრადიციული ინდუსტრიული საზოგადოების გარდაქმნა
ინფორმაციულ საზოგადოებად. დღევანდელ ყოფაში შემოჭრილი ეს ახალი ტერმინი
სწორედ ისეთ საზოგადოებას გულისხმობს, რომელშიც ინფორმაციის წარმოქმნას,
გადამუშავებასა და განაწილებას ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ექნება მიკუთვნებული.
თანამედროვე სპეციალისტები ცხოვრობენ და მოღვაწეობენ პოლიტიკური,
სამეცნიერო, სამრეწველო და სხვა ინფორმაციის მძაფრი ზრდის პირობებში. სამეცნიერო-
ტექნიკური პროგრესის სწრაფი ტემპის შედეგად დაგროვილი ინფორმაციის დაუფლების
აუცილებლობამ სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინა სხვადასხვა დარგში მომუშავე
სპეციალისტებისათვის.

იმის გამო, რომ დღესდღეობით ძნელი წარმოსადგენია თანამედროვე ინჟინერი ან
სხვა სახის ტექნიკური მუშაკი და მკვლევარი, რომელიც ვერ შეძლებს უცხოურ ენაზე
ტექნიკური დოკუმენტაციისა და ლიტერატურის გამოყენებას, არაენობრივ უმაღლეს
სასწავლებელში იკვეთება უცხოურ ენაზე სპეციალური ლიტერატურის კითხვის
სწავლების აქტუალობა.

აღსანიშნავია, რომ ზშირად აუდიტორიაში წარმატების მქონე შემსწავლელი მის
კვლევებს გარეთ ვერ ახორციელებს უცხოურ ენაზე კომუნიკაციას, უჭირს გაეცნოს
საჭირო ლიტერატურას, რომელიც არსებობს მის დარგში და რომლის გარეშეც ვერ
მოახერხებს პროფესიონალად ჩამოყალიბებას. აქედან გამომდინარე, უადრესად დიდ
მნიშვნელობას იძენს სასწავლო პროცესში სპეციალური ტექსტების დამოუკიდებელი
კითხვის სწავლება, რომლის საშუალებით შემსწავლელს გამოუმუშავდება ჩვევა
დამოუკიდებლად გადაჭრან მათ წინაშე დასმული ამოცანები (შესწორების, კარნახის ან
რაიმე სხვა ფორმით ჩარევის გარეშე).

სამწუხაროდ, უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა არაა
ორგანიზებული სათანადო დონეზე, მასწავლებელს არ ჰყოფნის დრო ყოველი სტუდენტის
თითოეული შეცდომის საფუძვლიანი გაკონტროლებისა და მისი დროული
კორექტირებისათვის. მას არ აქვს საშუალება მიიღოს ინფორმაცია თითოეული
შემსწავლელის მიერ სასწავლო მასალის ათვისების მიმდინარეობის შესახებ და არც
შემსწავლელმა იცის, რამდენად წარმატებით ეუფლება მასალას. აქედან გამომდინარე,
საჭიროა ისეთი დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზება, რომელიც სისტემატურ და
ყოველმხრივ კონტროლზე იქნება დაფუძნებული. ამის საშუალებას იძლევა თანამედროვე
ინფორმაციული ტექნოლოგიების, კერძოდ კი პერსონალური კომპიუტერის გამოყენება.
კომპიუტერის საშუალებით შესაძლებელი ხდება არა მხოლოდ შემსწავლელთა საქმიანობის
მართვა მიღებული ცოდნის განსამტკიცებლად, არამედ მათი დამოუკიდებელი მუშაობის
სისტემატური კონტროლი და იმ დაბრკოლებათა მოხსნა, რომლებიც თავს იჩენს
დამოუკიდებელი მუშაობის დროს.

ყოველივე ზემოთქმული განაპირობებს ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლის
პროგრამაში სპეციალური ტექსტების დამოუკიდებელი კითხვის სწავლებისა და
კომპიუტერული სახელმძღვანელოების დანერგვის აქტუალობას.

კვლევის ობიექტი

კვლევის ობიექტია ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებელში უცხოური ენის სწავლების
პრობლემა.

კვლევის საგანი

კვლევის საგანს წარმოადგენს სპეციალური ტექსტების დამოუკიდებელი კითხვის
სწავლების პრობლემა და ამ პროცესში პერსონალური კომპიუტერის გამოყენების
შესაძლებლობები.

18681

